რამოდენიმე მოსაზრება ერგნეთის ბაზრობის ფუნქციონირების აღდგენის შესახებ თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფარგლებში

ნოდარ სამხარაძე
თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზი) შექმნის მიზნები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია: კერძოდ ირლანდიაში, განვითარებულ ინფრასტრუქტურის პირობებში, ზონის შექმნის აუცილებლობა განპირობებული იყო აეროპორტ „შენონის" ფუნქციის დაკარგვის (შემცირების) შედეგად წარმოშობილი უმუშევრობის დაძლევის საჭიროებით; აშშ–ში – ინოვაციური ცენტრების და მასთან დაკავშირებულ ინოვაციური ტექნოლოგიების სწრაფად დანერგვის საჭიროებით (ე.წ." სილიკონის ველი"); ბრაზილიაში–ადგილობრივი სანედლეულო ბაზების დაჩქარებულად ათვისების და ქვეყნის უზარმაზარი ბაზრისთვის იაფი ადგილობრივი პროდუქციის მიწოდების საჭიროებით; არაბთა გაერთიანებულ ემირატებში–ჭარბი კაპიტალის არსებობის დროს ინფრასტრუქტურის განვითარების, თანამედროვე საწარმოების შექმნის და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროებით; ჩინეთში – ჩაკეტილი, კომუნისტური სახელმწიფოსათვის მსოფლიო ბაზრების გახსნის, მოსახლეობის დასაქმების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროებით.

საერთო მიზნების გარდა თეზების შექმნას გააჩნია ლოკალური ამოცანები, რომლებიც შეიძლება პირობითად დაიყონ სამ მსხვილ ბლოკად: ეკონომიკური, სოციალური და სამეცნიერო ტექნიკური.

ეკონომიკური ამოცანებია:

- უცხოური და ნაციონალური კაპიტალის მოზიდვა სპეციალური შედავათ იანი ეკონომიკური მექანიზმების ჩართულობით, სტაბილური საკანონმდებლო ბაზის შექმნით და სხვადასხვა ორგანიზაციული პროცედურების გამარტივებით;
- შრომის გეოგრაფიული დანაწილების და ექსპორტის გაფართოებისათვის კაპიტალის საერთაშორისო მიმოქცევის უპირატესობის გამოყენება;
- საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ლიკვიდაცია;
- ქვეყანაში და რეგიონებში სავალუტო შემოსავლების ზრდა.

სოციალური ამოცანებია:

- ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების დაჩქარება;
- მოსახლეობის უმუშევრობის აღმოფხვრა;
- მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალთა ფენის შექმნა, მენეჯმენტის კულტურის ამაღლება;
- მოსახლეობის მაღალხარისხიანი პროდუქციით დაკმაყოფილება.

სამეცნიეროტექნიკური ამოცანებია:

- მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე მეცნიერტევადი დარგების და საწარმოების შექმნა
- წარმოების ორგანიზაციის უახლესი მეთოდების დანერგვა;
- საწარმოო სიმძლავრეების ეფექტური ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.

ჩვეულებრივ პირობებში, ზემოთ ჩამოთვლილი სამი ამოცანიდან სამივე თანაბარმნიშვნელოვანია და განმაპირობებელი ამა თუ იმ ქვეყანაში თეზის შექმნისათვის გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიის ოცი პროცენტი ოკუპირებულია, პირველი პრიორიტეტი ამ ტერიტორიების დაბრუნება და მათი საერთომეურნეობრივი ინტეგრაცია, ანუ სოციალურპოლიტიკური ამოცანა უნდა იყოს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თითოეული ქვეყანა გარკვეული კონკრეტული მიზნების გან-

სახორციელებლად ქმნიდა თეზებს. ჩვენი მიზანი კი უნდა იყოს ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით შემოერთება; მშვიდობიან გზებში მოიაზრება სახალხო დიპლომატიაც, რომელიც გულისხმობს არაღიარებული რეგიონების მაცხოვრებლების მაქსიმალურ ჩართვას სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობებში და შედეგად მიღებულ სიკეთეების დანაწილებაში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ ბოლო პერიოდში გახმოვანებული ე.წ. "ერგნეთის ბაზრობის" აღდგენის თემა. არის მოსაზრებანი, რომ თუ აღნიშნული ბაზრობა აღდგება თეზის ეგიდით, იგი ეკონომიკურად ეფექტიანი ვერ იქნება, (1) თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ გარკვეული გარემოებების თანხვედრის პირობებში მთლიანად ზონა შეიძლება მომგებიანიც გახდეს.

ზოგადად, თეზების შექმნას წინ უნდა უძღოდეს ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთება, სადაც დროში გაწერილი იქნება მისი შექმნის და განვითარების ეტაპები. ჩვენს შემთხვევაში აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს არა იმდენად მყისიერ ეკონომიკური ეფექტის მიღწევაზე, არამედ უფრო მის სოციალურ და პოლიტიკურ მდგენელზე.

მსოფლიოში ყველა მომქმედი წარმატებული თეზის შექმნის ისტორია იწყებოდა სახელმწიფოს მიერ ინვესტირებით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში; მაგალითად: ჩინეთში თეზების ინფრასტრუქტურის მოწყობაში 20 მილიარდი, ბრაზილიაში 17 მილიარდი, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში80 მილიარდი დოლარი ჩაიდო. რასაკვირველია, ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებში ამ მიმართულებით მასშტაბები განუზომლად დიდი იყო, მაგრამ იმის თქმა გვინდა, რომ საწყისი ხარჯები სახელმწიფომ უნდა გაიღოს, პირველ რიგში ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის; ასევე სახელმწიფოს ხარჯებით უნდა დაიწყოს ძირითადი საწარმოო ობიექტების მშენებლობა(ინვესტორების მოზიდვა საწყის ეტაპზე, რთული იქნება, ხოლო საქმიანობის წარმატებით დაწყების შემთხვევაში, პერსპექტივაში, ამ ობიექტების კერძო კომპანიებზე გასხვისებაა თავისუფლად შეიძლება). გარკვეულად სახელმწიფოსთვის კაპდაბანდების განხორიელება იქნება წაუგებელი თამაში, რადგან ინფრასტრუქტურის (მისასვლელი გზები, სარწყავი არხები, ელექტრო და გაზმომარაგების ქსელები, კავშირგაბმულობა და სხვა) გამართვა აღნიშნულ რეგიონში ისედაც აუცილებელია, ხოლო საწარმოო ობიექტების წარმატებით ფუნქციონირება (ბაზრობის გარდა) ოსური მოსახლეობის გარეშეც სავსებით შესაძლებელია (თუ ექსპერიმენტმა სამწუხაროდ, არ გაამართლა).

ცხინვალის რეგიონში, პირობით საზღვართან, უნდა დაიწყოს თავისუფალი ზონის სტრუქტურების ე.წ. კომპლექსის მშენებლობა, სადაც გაერთიანდება: ხილბოსტნეულის მიმღები პუნქტები, სამაცივრო და სასაწყობო ფართებით, ხილბოსტნეულის გადამამუშავებელი რამდენიმე მინი ქარხანა (წვენების, მურაბების, მარინადების და სხვა ამგვარი პროდუქტის საწარმოებლად), თანამედროვე საბითუმო და საცალო სავაჭრო ცენტრი, მინის ტარის მინი ქარხანა, მინერალური წყლების ჩამომსხმელი მინი ქარხანა და სხვა ისეთი სახის საწარმოო ერთეულები, რომლებიც გამოიწვევს როგორც ქართული, ისე ოსი მოსახლეობის დაინტერესებას და დასაქმებას; ოსურ მთიან სოფლებში განვითარებულია მეცხოველეობა, რომლის პროდუქტების გადამუშავების და გასაღების პრობლემა ამჟამად დგას. ცხინვალში კომუნისტურ პერიოდში ფუნქციონირებდა საშულო სიმძლავრის ხორცკომბინატი სამაცივრო დანადგარებით, საიდანაც თბილისიც მარაგდებოდა. თუ ზონაში ანალოგიური საწარმო შეიქმნება, მას ოსური მოსახლეობის მხრიდან ნედლეული არ მოაკლდება

ცხინვალის რეგიონის დეფაქტო ლიდერები დეკლარირებულად უარს აცხადებენ ე.წ. "ერგნეთის ბაზრობის" აღგენაზე და ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ კონტაქტებზე; ჩვენ გვაქვს რამდენიმე მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება დავაინტერესოდ ოსური მოსახლეობა თანდათან ჩაერთონ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან ეკონომიკურ თანამშრომლობაში.

ცნობილია, რომ საქართველოში მესამე ქვეყნის გავლით შემოდის საკმაო რაოდენობის რუსული წარმოების პროდუქტი. ერგნეთის ზონის ამოქმედების პარალელურად უნდა ვეცადოთ, რომ ამ პროდუქციის ნაწილი მაინც ქვეყანაში რუსული, ან რუსულოსური ფირმების დახმარებით შემოვიდეს ტერიტორიის სწორედ ამ ზონის გავლით (რათა ოკუპირებული ტერიტორიის გადაკვეთა მოხდეს პრობლემების გარეშე), რომ ზონამ საწყისი ფუნქცია შეიძინოს. სახელმწიფოს მხრივ, გაცემული უნდა იქნეს ერთჯერადი, ან მრავალჯერადი (შეზღუდული) ნებართვები ერგნეთის ზონაში საქონლის შემოტანაზე. ამავე ფირმების მეშვეობით შეიძლება ორგანიზება გაეწიოს ზონაში წარმოებული ან ჩაბარებული პროდუქციის ექსპორტს. ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად ცხინვალის რეგიონში უმუშევრობა და გაჭირვებაა, მოსახლეობის როგორც ოსური, ისე ქართული ნაწილი დაუსაქმებელია, ოსური მოსახლეობა, აუცილებლად დაინტერესდება და მოინდომებს ზონაში განლაგებულ ობიექტებში დასაქმებას, მით უმეტეს, რომ აღნიშნული თავისუფალი ზონა როგორც წესი, ქვეყნისაგან განსხვავებული ეკონომიკური სტატუსის მატარებელი იქნება. ჩვენ გვესმის, რომ ისეთ ფირმების გამოძებნა, რომლებიც იკისრებენ ცხინვალის გავლით პროდუქციის გატარებას რთული იქნება, მაგრამ შეუძლებელი არ არის; რუსეთში მოღვაწეობენ წარმატებული

ქართველი ბიზნესმენები, რომელთაც ხელეწიფებათ ამ პრობლემის ყველა დონეზე გადაწყვეტა.

იდეის ტექნიკურეკონომიკურ დასაბუთებაში და განხორციელების სტრატეგიის შემუშავებაში ეკონომისტებისა და ტექნიკურ მუშაკთა გარდა, საჭიროა ჩაერთონ პირები, რომელთაც დიდი ავტორიტეტი აქვთ ადგილობრივ ოსურ და ქართულ მოსახლეობაში, ასეთები კი ბევრია, როგორც ჩვენთან მცხოვრებ დევნილ მოსახლეობაში, ისე რუსეთში მოღვაწე ოსური წარმომავლობის საქართველოსთან დაკავშირებულ ბიზნესმენებში.

ერგნეთის თავისუფალი ზონის დაპროექტებამდე საჭიროა შემუშავდეს ამ მიმართულების განვითარების კონცეფცია რეინტეგრაციის სამინისტროს ეგიდით, საერთაშორისო მისიების ჩართულობით, სადაც დასაბუთებული იქნება, თუ რა გვინდა, რის ფასად; რა სახსრებით და რა რესურსებით შეიძლება იდეის ხორცშესხმა. პარალელურად, საინფორმაციო საშუალებებით, სახალხო დიპლომატიით უნდა მოხდეს ზემოთმოყვანილი იდეების ზონდირება, რეკლამირება და საპასუხო რეაქციების გათვალისწინებით მოქმედებების კორექტირება. უშუალოდ მშენებლობების დაწყებამდე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პერიოდში გაირკვევა აღნიშნული იდეების განხორციელების მიზამშეწონილობა და პერსპექტივა. საერთო ჯამში უნდა გამოვიდეთ იმ მოსაზრებიდან, რომ იქაური ოსური მოსახლეობაც ჩვენი მოქალაქეები არიან, რომელთაც ძალიან უჭირთ, მეორე მხრივ, ჩვენი ტერიტორია ოკუპირებულია და მის დასაბრუნებლად მივმართავთ ყველანაირ მშვიდობიან ხერხს, მათ შორის ეკონომიკურს, შესაძლოა ძვირადღირებულს, მაგრამ ამ მოცემულობაში ყველზე ეფექტურს.

ჩვენი აზრით, არსებობს რამოდენიმე მიზეზი, თუ რატომ შეიძლება სჯობდეს ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის დაწყება ოსურ მოსახლეობასთან (რაც ჩვენს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს) თავისუფალი ზონის ეგიდით. ძირითადი მიზეზებია პოლიტიკური და ფსიქოლოგიური; ცნობილია, რომ თეზი წარმოადგენს განსაკუთრებული სტატუსის მქონე ანკლავს, რომელსაც სახელმწიფოსგან გარკვეულწილად დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება შეუძლია; ოსურ მოსახლეობას უნდა მიეცეს საშუალება, ადგილობრივი სეპარატისტული მთავრობის წინაშე (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი წინააღმდეგნი არიან ე.წ. "ერგნეთის ბაზრობის" აღდგენის) გავუადვილდეს გაამართლოს თავიანთი სურვილი ითანამშრომლონ თეზის შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებულ ეკონომიკურ სუბიექტებთან; მათ აგრეთვე მოეხსნებათ შესაძლო ფსიქოლოგიური ბარიერები იმის გამო, თანამშრობლობენ არა ცენტრალური ხელისუფლებას დაქვემდებარებულ, არამედ დამოუკიდებელი სამართლებრივი, ეკონომიკური, ადმინისტრაციული და საგადასახადო რეჟიმის მქონე ეკონომიკურ სუბიექტებთან. შემდეგი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის საგადასახადო (ფისკალური) და ფინანსური (სუბსიდიების, დაბალპროცენტიანი სესხების გაცემის სახით) შეღავათები, რომლებითაც როგორც წესი, სახელმწიფოსგან სარგებლობენ თეზში მომქმედი ეკონომიკური სუბიექტები; გამარტივდება აგრეთვე მოცემულ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლის და გადადგილების წესი, რომელიც თავიდან აგვაცილებს მრავალ სამართლებრივ კაზუსს დაკავშირებულს სავიზო საკითხებთან.

სტატიის განხილული მოსაზრებები რასაკვირველია არ არის "უკანასკნელი ინსტანციის ვერდიქტი". ჩვენი სურვილია დაიწყოს ამ საკითხზე მსჯელობა, სხვა დამატებითი იდეების გენერირება; ამჟამად იქმნება ოკუპირებული რეგიონების სამშობლოსთან მშვიდობიანი ინტეგრაციის უაღრესად სასურველი პოლიტიკური გარემო და თუ პოლიტიკურ მდგენელს ადგილობრივი ოსური მოსახლეობის ეკონომიკური დაინტერესებაც დაემატა, ძალიან წაადგება საერთო მიზნის მიღწევას. თუ ცხინვალის მიმართულებით ექსპერიმენტმა გაამართლა, შემდეგ მისი გამოყენება აფხაზეთშიც შეიძლება, სადაც თანამშრომლობის მეტი პერსპექტივაა, გამომდინარე იქიდან, რომ გალის მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობა ჩვენგან ისეთი ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ელის, რომლებიც მათ საშულებას მისცემთ ისედაც მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ენგურსაქეთ ტერიტორიებთან უფრო გააფართოვონ და ლეგიტიმური სახე მისცენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ე. ტუხიაშვილი. "ეკონომიკური ოაზისი" ერგნეთში. www.kvirispalitra.ge/.../15039qekonomikurioa

REFLECTIONS ABOUT RESTORATION OF FUNCTIONING OF ERGNETI FAIR WITHIN FREE ECONOMIC ZONE

NODAR SAMKHARADZE - full professor

This article covers several opinions why it could be useful and interesting to create free economical zones near conflict region, village Ergneti. Which types of enterprises can be deployed, how this can be useful to include locals of the occupied region in integration processes.